ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

პროგრამა: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა)

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

„საგნის გამოცდის ჩატარების წესით“ გათვალისწინებული საგნის გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მოდულის შესაბამისი შემდეგი საგნის გამოცდა:

- ქართული ენა და ლიტერატურა - ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მათემატიკა - მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ისტორია - ისტორია;
- სამოქალაქო განათლება - სამოქალაქო განათლება;
- გეოგრაფია - გეოგრაფია;
- ბიოლოგია - ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ფიზიკა - ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ინგლისური ენა - ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- გერმანული ენა - გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- რუსული ენა - რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ქართული, როგორც მეორე/უცხო ენა - ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების მიზნით, ჩატარდება შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა, რომელიც მოიცავს ქეისის ზეპირ ანალიზსაც. ქეისს, რომელიც აღწერს სიტუაციას სასკოლო ცხოვრებიდან, აპლიკანტს წარუდგენს საგამოცდო კომისია. ზეპირ გამოცდაზე აპლიკანტმა უნდა შეძლოს, გამოავლინოს:

- ✓ ზოგად განათლებაში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმირებულობა და მზაობა მათ განსახორციელებლად;
- ✓ მოტივაცია;
- ✓ პრობლემის გადაჭრისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ აპლიკანტის ინფორმირებულობისა და სიახლეების მიმღებლობის დასადგენად, დასმული იქნება კითხვები ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესების ირგვლივ. მოტივაციის გამოვლენის მიზნით, კანდიდატმა უნდა ისაუბროს პროგრამისადმი საკუთარი ინტერესის შესახებ სამომავლო პროფესიული/კარიერული ზრდის პერსპექტივიდან. ქეისის ანალიზისას აპლიკანტმა უნდა შეძლოს პრობლემის

იდენტიფიცირება, პრობლემის გამომწვევი მიზეზის/მიზეზებისა და გადაჭრის გზების დასახელება; მსჯელობისას უნდა მოიყვანოს რელევანტური არგუმენტები.

შეფასების სისტემა

ზეპირი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 30, ხოლო მინიმალური ქულაა 16. აპლიკანტი, რომელიც დააგროვებს 16 ქულაზე ნაკლებს, ამოვარდება რეიტინგული სიიდან.

ზეპირი გამოცდის შეფასების რუბრიკა		
კრიტერიუმები	**რუბრიკები**	**შეფასება**
ზოგად განათლებაში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმირებულობა და მზაობა მათ განსახორციელებლად - 10 ქულა	ფლობს სრულ ინფორმაციას ზოგად განათლებაში მიმდინარე სიახლეების შესახებ და აქვს მზაობა მათ განსახორციელებლად.	8-10
	ფლობს ინფორმაციას არჩეული სფეროს შესახებ, მაგრამ ნაკლებად ავლენს მზაობას მათ განსახორციელებლად.	5-7
	არჩეული სფეროს შესახებ სუსტად ან საერთოდ არ არის ინფორმირებული და ვერ ავლენს მზაობას მათ განსახორციელებლად.	0-4
მოტივაცია მაქსიმალური - 10 ქულა	აქვს პროგრამაზე სწავლის მაღალი მოტივაცია.	8-10
	აქვს პროგრამაზე სწავლის საშუალო მოტივაცია.	5-7
	აქვს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების დაბალი მოტივაცია.	0-4
პრობლემის გადაჭრისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი - 10 ქულა	შეუძლია, განსაზღვროს და გააანალიზოს პრობლემა; ახსნას პრობლემის გამომწვევი მიზეზები და იმსჯელოს პრობლემის გადაჭრის გზებზე; არგუმენტირებულად დაასაბუთოს მათი მართებულობა.	8-10
	შეუძლია, განსაზღვროს პრობლემა, თუმცა უჭირს პრობლემის ანალიზი და გამომწვევი მიზეზების დასახელება. პრობლემის გადაჭრის გზები არადამაჯერებელია და აკლია არგუმინტირება.	5-7
	უჭირს ან საერთოდ ვერ ახდენს პრობლემის განსაზღვრასა და ანალიზს. ვერ ასახელებს პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის გზებს. მსჯელობა არაარგუმენტირებულია.	0-4